ბათუმის საქალაქო სასამართლო

№266 გ/კ **02 მაისი, 2023 წელი**

ქალბატონ მირანდა თეთრაძეს

მის: ქ. თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქუჩა N20.

ქალბატონო მირანდა,

2023 წლის 21 აპრილს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქ/პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ასევე გაცნობებთ, რომ სასამართლოს კანცელარიაში სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმეების მონაცემების დამუშავება ხდება დადგენილ სტატისტიკურ ფორმებში, დავის საგნის მიხედვით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები აღირიცხება მუხლების მიხედვით. აღნიშნულ სტატისტიკურ ფორმებში ცალკე არ აღირიცხება თქვენს მოთხოვნაში მითითებული ინფორმაცია.

შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის პირობებში, თქვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, რომელიც მოიცავს 2013-2023 წლების პერიოდს და საკმაოდ მოცულობითია, საჭიროებს დიდ დროსა და რესურსს. მოგეხსენებათ, სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, შესაბამისად სასამართლოს აპარატი დაკავებულია სასამართლოსთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებით და სასამართლო რესურსის საგანგებოდ ამ მიზნით მობილიზება ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ თანამდებობის პირთან.

პატივისცემით,

მარიანა გახოკიძე

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი